ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 31 იანვარი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 30

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის, 19^5 მუხლის მე-6 პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ'' №42 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება ქ. ოზურგეთის ვ. დოლიძის ქ. №10 მდებარე შენობა-ნაგებობის პირველი სართულის ხუთი ოთახი საერთო ფართით 152.79კვმ. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №46, ნაკვეთი №025, უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882012028028, მომზადების თარიღი 24/01/2012წ.)

მუხლი 2. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-ს დირექტორს მაია ნიკოლაიშვილს (პირ.№ 33001016551).

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer